პროექტის შესავალი:
მოსწავლეებთან ერთად შემუშავდება პროექტის გეგმა.მოსწავლეებს მიეცემათ დავალება მოიპოვონ ინფორმაცია იმისთვის,რომ ჩაატარონ რძის ქიმიური ანალიზი,განსაძღვრონ ყოფა- ცხოვრებაში მათი გამოენებით გამოწვეული სარგებლობა და ზიანი.მოსწავლეები დაიყოფიან ორ ჯგუფად .ეს დავალება ორ მიზნისთვის არის განსაზღვრული:1.რძეში ცხიმიანობის დადგენა და მე-2.რძეში ცილის არსებობის დადგენა.საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს დამატებიი კონსულტაციები მიეცემათ.კიდევ ერთხელ შევახსენებ ქიმიურ კაბინეტში მუშაობის წესებს.
პროექტის ძირითადი ნაწილი:
მზადება ექსპერიმენტის ჩასატარებლად:
პროექტის მონაწილეები გაიოფიან ორ ჯგუფად,ერთი ჯგუფი იმუშავებს რძეში ცხიმის დადგენაზე,მეორე-ცილის დადგენაზე.ამისთვის კი უნდა მოიძიონ თეორიული რესურსები ექსპერიმენტის დასადგენად.ექსპერიმენტმა პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს:

1რატომ უნდა ვიცოდეთ რძის ქიმიური ანალიზი2რატომ არის რძის ცხიმიანობის დადგენა მნიშვნელოვანი ყოფა-ცხოვრებაში.

შემდეგ მოიძიებენ რა რეაქტივები და ხელსაწყოები დასჭირდებათ ცდების ჩასატარებლად.

ექსპერიმენტები:
1-ლი ჯგუფი მუშაობს სასწორთან ,წონიან ცარიელ ქიმიურ ჭიქას,ასხამენ განსაზღვრული რაოდენობის რძეს და მასათა სხვაობით ადგენენ რძის მასას.აწონილი რძის მცირე რაოდენობას მოსწავლეები ათავსებენ მიკროსინჯარაში,ამატებენ დიქლორმეთანს,ახურავენ საცობს და ანჯღრევენ.რძეში არსებული ცხიმი იხსნება.შემდეგ პიპეტით იღებენ ცხიმგაცლილ ზედა ფენას,გადააქვთ ქიმიურ ჭიქაში და ხელახლა წონიან.საწყისი და ცხიმგაცლილი რძის მასათა სხვაობით გამოთვლიან ცხიმის მასას,შემდეგ კი იგებენ რძის ცხიმიანობას.

მეორე ჯგუფი რძეს ამატებს კონცენტრირებულ ძმარმჟავას ,შეანჯღრევენ და აყოვნებენ.ცილის დენატურაციის შედეგად წარმოქმნილი ნალექი უნდა გაიფილტროს,გაშრეს და აიწონოს.

ჯგუფები აკეთებენ თითოეული ექსპერიმენტის აღწერის შესახებ დღიურებს.საჭიროების შემთხვევაში იმეორებენ ცდას საბოლოო დასკვნის სიზუსტისათვის.მუშაობის როცესში მოახდენენ აზრთა გაცვლა-გამოცვლას,პროექტის იდეის გაანალიზებას.

პროექტის დასასრული:

ნამუშევრებს წარმოადგენენ პრეზენენტაციის სახით ,აწყობენ სკოლაში დაინტერესებულ პირთათვის სლაიდშოუს.